პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
ხუთშაბათი
20
ნოემბერი
№ 272
(16398)
ფასი
2 კაპ.
1975

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 თებერვლიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲩᲘᲜᲝ ᲐᲒᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲫᲐᲚᲐ

ᲑᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ სანახავი იყო საოქტომბროდ მოზეიმე თბილისი, რესპუბლიკის სხვა ქალაქები და სოფლები, მთელი საქართველო. ლამაზი, შინაარსიანი ტრანსპარანტები, ლოზუნგები, მოწოდებები, პანოები, პლაკატები ამაღლებდა სადღესასწაულო განწყობილების ტონუსს, ასახავდა შეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის მშრომელთა საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობას, წინასაარჩევნო შეჯიბრებას.

თვალსაჩინო აგიტაციას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საშუალებათა არსენალში. იგი გვეხმარება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, საბჭოთა ადამიანის იდეური, ზნეობრივი სახის ჩამოყალიბებაში, ადამიანთა შორის ახალი ურთიერთობის განვითარებაში. პლაკატის ენა უებრო სატირისთვისაც. მწვავედ ამათრახებს ნაკლოვანებებს, სოციალისტური თანაცხოვრების ნორმების დარღვევებს, საზოგადოების ანტიპოდებსა და ნეგატიურ მოვლენებს.

ვისაც ბოლო დროს ერთხელ მაინც დაუდგამს ფეხი თბილისის ლენინის რაიონის ტერიტორიაზე, თვალს მოსტაცებდა და გულს გაუხარებდა აქ განლაგებული თვალსაჩინოების უამრავი საშუალება, რომლებიც ყურადღებას იქცევს აქტუალობით, მოვლენათა შეფასების სიღრმით, მხატვრული გამომსახველობითა და ეანრის თავისებურებით.

პარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომი, პირველადი პარტორგანიზაციები დღითიდღე ხრულყოფენ თვალსაჩინო აგიტაციისადმი ხელმძღვანელობას, საჭირო ღონისძიებებს ახორციელებენ ამ საქმეში ნაკლოვანებათა დასაძლევად. საგულისხმოა, რომ თვალსაჩინო აგიტაციის მოწყობაში აქტიურად მონაწილეობენ აგიტატორები, პოლიტინფორმატორები, პროპაგანდისტები, კომუნისტები და უპარტიო აქტივისტები.

თბილისის ლენინის რაიონი ამ მხრივ გამონაკლისი არ არის. უკანასკნელი წლების მანძილზე მნიშვნელოვნად ამაღლდა, უფრო ლამაზი, გამომსახველობითი და გასაგები გახდა თვალსაჩინო აგიტაციის იდეურ-მხატვრული დონე ბევრ საქალაქო და სასოფლო რაიონში. ამას კი, უწინარეს ყოვლისა, ცხადყოფს ქალაქების, რაიონული ცენტრების, დაბების, საწარმოების, საზოგადოებრივი მეურნეობების საagიტაციო-მხატვრული გაფორმება, რომელშიც ასახულია ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე პოზიტიური პროცესები, შრომითი კოლექტივების წინაშე მდგომი ამოცანები, ყველგან და ყველაფერში სრული წესრიგის დამყარებისაკენ, მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაუმჯობესებისათვის გაწეული მუშაობა. თვალსაჩინო აგიტაციის გაუმჯობესებაში განსაკუთრებით კეთილსინდისიერი გაკვლევა იქონია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ 1974 წლის მარტში მიღებულმა სპეციალურმა დადგენილებამ.

ახლა სულ უფრო ფართოდ იყენებენ ჩვენი ქვეყნის მოწინავე პარტიული ორგანიზაციების გამოცდილებას პერსპექტიული, თემატური დაგეგმვის, პოლიტიკურ-მხატვრული გაფორმებისა და მათი ხელმძღვანელობისათვის. თვალსაჩინო აგიტაციის დაყენებაში იდეოლოგიურ მუშაკთა მეთოდური დახმარების კარგ მაგალითს აძლევდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის ლექციებგანდის ტექნიკურ საშუალებათა კაბინეტი. ამ მხრივ მუშაობის გაუმჯობესებას ხელს უწყობს რესპუბლიკური და საკავშირო დათვალიერებები, გამოფენები. პარტიის მოელ რიგ საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში, ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში შექმნილია თვალსაჩინო აგიტაციის საბჭოები, რომლებსაც შემოქმედებითი ხელმძღვანელობა აქვთ ამ საქმის ნამდვილი ენთუზიასტები.

მაგრამ ამასთან ერთად ყველგან სათანადოდ როდი აფასებენ თვალსაჩინო აგიტაციის დიდ შესაძლებლობებს, მის აღმზრდელობითს, დამრაწმავ ძალას. პარტიის ზოგიერთ საქალაქო და რაიონულ კომიტეტში აგიჟყოდათ თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებათა ტიპოლოგიურად განახლება და განლაგება, ურიგდებიან საშემრულებლო ტალტურის დაბალ დონესა და თემატურ სიღარიბეს, ნაკლებ კონკრეტულობასა და არამზანმიმართულებას. ამიტომ აქ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ეს მნიშვნელოვანი საშუალება სათანადოდ არ გამოიყენება შრომითი კოლექტივების ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებსა. ასეთი არასასურველი სურათია მაგალითად, ჟობელეთის, ოქტომბერისა და ხუნოს ცალკეულ კოლმეურნეობებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში, ახალქალაქის რაიონის პამაჯის, წყალთბილისა და სხვა საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიებზე კი იშვიათად შეხვდებით ლოზუნგებს, მოწოდებებს, პლაკატებს, ტრანსპარანტებს.

დაბალია თვალსაჩინო აგიტაციის დონე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია სავაჭრო ვიტრინების, დახლებისა და ფარდულების მხატვრულ გაფორმებაში. ჩვენი გამომცემლობები მაინც და მაინც არ გვანებივრებენ კარგი მხატვრული პლაკატებითა და სააგიტაციო ფურცლებით, თანაც — მათი გარკვეული ნაწილი ზოგიერთი ქალაქისა თუ სოფლის წიგნის მაღაზიების კედლებს არ სცილდება.

ამ ნაკლსა და თვალსაჩინო აგიტაციის საქმეში არსებულ სხვა ნაკლოვანებებზე სამართლიანად უფრო ვრცლად იყო სჯა-ბაასი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ თვალსაჩინო აგიტაციის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე, რომელიც ამას წინათ გაიმართა.

XXIII კპკ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობებისათვის ღირსეულად შეხვედრა მოითხოვს იდეოლოგიური მუშაობის ყველა რგოლის გაქტიურებას. იდეოლოგიურ მუშაობაში კი მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს მაღალ დონეზე მოწყობილმა თვალსაჩინო აგიტაციამ.

ამოცანა ის არის, რომ გადაჭრით ავამაღლოთ თვალსაჩინო აგიტაციის იდეურ-პოლიტიკური და მხატვრული დონე, უზრუნველყოთ მისი ობიექტიურობა, კონკრეტულობა, მისი მიზანსწრაფულობა. ამისათვის კი საჭიროა მუდმივად ვეძებდეთ ყველაზე მოხერხებულ ფორმებს, ვამაღლებდეთ მასშტაბურობას, ემოციურობას, ვალვიდეთ ფერთა შეხამებასა და საჭირო შემოხვევაში — კონტრასტულობას, ვჭიუნავდეთ თვითეული საშუალების დროულ განახლებასა და გენლაგებაზე.

ხაქმისათვის საჭირო და აუცილებელია თვალსაჩინო აგიტაციის სახეობრივ დაყენების, ორგანიზაციისა და მეთოდიკის საკითხებს პერიოდულად განვიხილავდეთ პარტიული კომიტეტების ბიუროების სხდომებზე, პირველადი პარტორგანიზაციების კრებებზე, განვიხილავდეთ და ვავრცელებდეთ მოწინავეთა მუშაობის გამოცდილებას.

შეუწყარებელია, როცა თვალსაჩინო აგიტაციის რაიონული და საქალაქო საკოორდინაციო მეთოდური საბჭოები ფორმალურად, ხმოლოდ ქაღალდზე არსებობს.

კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ თვალსაჩინო აგიტაციას საგრძნობი შედეგი მხოლოდ იქ მოაქვს, სადაც მას იდეოლოგიური მუშაობის მნიშვნელოვან ფორმებთან — ზეპირ პროპაგანდასთან, აგიტაციასთან, პრესასთან, რადიოსა და ტელევიზიასთან ერთიან კომპლექსში იყენებენ. თვალსაჩინო აგიტაციის გაშლაში ფართოდ უნდა მიეზიდოთ და გამოიყენოთ შესაბამისი ინტერტუტები, კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, პოლიტიკური განათლების კაბინეტები, ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები.

თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებათა იდეურ-მხატვრული დონისადმი გაზრდილი მოთხოვნები გვიკარნახებს ხერიოზულად ვიზრუნოთ საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაზე, მხატვარ-გაფორმებელთა კადრების შერჩევასა, მომზადებასა და სწავლებაზე, რაც კულტურის სამინისტროს დღემდე გულთან ახლოს არ მიუტანია.

სისტემატურად უნდა ვაწყობდეთ საუკეთესო პლაკატების, პანოების, ტრანსპარანტების გამოფენებს, ყურადღებით ვადევნებდეთ თვალს ყოველივე ახალსა და ეფექტურს თვალსაჩინო აგიტაციაში, განვაზოგადებდეთ მას სპეციალური ალბომების, გამოცემების გზით, ემინარ-პრაქტიკუმების დახმარებით, სრულად უნდა ვიყენებდეთ ტელევიზიის, ქალაქებისა და სოფლების საagიტაციო-მხატვრული გაფორმების საუკეთესო ნიმუშებს, პოლიტიკური პლაკატისა და მოგონებითი ბროშურების, ფოტოგაზეთების, ფოტოალბომების, ფოტოტაბლო

ჩხოროწყუს რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე

გულახდილად, პასუხისმგებლობით

როცა რაიკომის ბიურო მორიგი, XXVII კონფერენციისათვის საანგარიშო მოხსენების მოსამზადებლად მუშაობდა, მოეთათბირა ძველ ბოლშევიკებს, პირველი პარტიული კონფერენციის მონაწილეებს — ალ. იზორიას, გრ. ცინცაძეს, ნ. ჯინჭარაძეს, დ. საჭინავას და სხვებს. შემდგომი თათბის კომუნისტებს — სოციალისტური შრომის გმირებს — ს. მალანიას და ნათელა შენგელიას, ორდენოსნებს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ეთერ ცირამუას, ნათელა საჯაიას, ნინელი დარსალიას, ვ. სიჭინავას, ალ. პოოფერიევას. ამან თავიანთ ასახვა ჰპოვა საანგარიშო მოხსენებაში, რომლითაც კონფერენციის წინაშე წარსდგა პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველი მდივანი ნ. საჯაია.

ასეთმა მოთათბირებამ, როგორც კომუნისტთა ხმ ფორუმზეც აღინიშნა, ის შედეგი გამოიღო, რომ საანგარიშო მოხსენება სრულ სურათს იძლეოდა რაიკომის მიერ კონფერენციადან კონფერენციამდე გაწეული საქმიანობის შესახებ.

პარტიის რაიონულ კომიტეტს საკმაოდ იძაბული მუშაობა დასჭირდა იმისათვის, რათა გამოეხახა ყველაზე ოპტიმალური, რეალური გზა რაიონში წლების მანძილზე არსებულ ნაკლოვანებათა მთლიანად დასაძლევად თუ არა, დიდი ნაწილის რაც შეიძლება მალე აღმოსაფხვრელად მაინც. ეს კი იოლი საქმე როდი იყო, რადგან როგორც ამაზე გარკვევით თქვა, ადრე დანიშნული პარალელურობამ და მიღწეულით დაკმაყოფილების გრძნობამ საგრძნობი ზიანი მოაყენა ეკონომიკას, კულტურას, ადამიანთა ფსიქიკას, მაგრამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებისა და მასი განსაკუთრებული მოთხოვნის საფუძველზე მთელი ძალით გაიშალა ბრძოლა საბჭოთა საზოგადოების ანტიპოდების. ყოველგვარი ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ.

ჩხოროწყუელმა კომუნისტებმა სწორი პოზიცია დაიკავეს ახალი დიდი ამოცანების მიმართ და შედეგებმაც არ დააყოვნა. ეს უფრო ნარეს ყოველისა, შეიხედ ეკონომიკას. წინა წელზე რომ არაფერი ვთქვათ, წლეულს რაიონში დაგეგმილი 12.530 ტონის ნაცვლად მოიკრიფა 15.145 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, გაიზარდა სიმინდის მოსავლიანობაც. მოიყვანეს 4.000 ტონაზე მეტი სიმინდი, რაც გეგმით გათვალისწინებულს 581 ტონით აღემატება. ფარმატებით შესრულდა მეცხოველეობის სულადობის, პროდუქტების წარმოების, და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალებები. ხუთწლედის დამამთავრებელ წელს პირველად შესრულდა ყურძნის დამზადების გეგმა. მრეწველობას გადასამუშავებლად ჩაბარდა გეგმით გათვალისწინებული ხილი. მშრომელები სისხლხორცეულად არიან დაინტერესებულნი, რათა ღირსეული იყოს მათი წვლილი რაიონის სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობაში.

პარტიის რაიკომი თანდათან სრულყოფს თავისი მუშაობის სტილსა და მეთოდებს, რომლის დროსაც წინა პლანზე დგება შემოწმება და კონტროლი. ადამიანებთან უფრო ახლოს მისვლამ და მათი ინტერესების გათვალისწინებამ გააუქმებინა ორი ლამატი.

მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას ემსახურება პოლიტიკური და კომკავშირული განათლების ფართო ქსელი. უფრო ქმედითი კახეთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, რასაც რაიონში 400-ზე მეტი აგიტატორი და 130 პოლიტინფორმატორი იწევა. ბევრი მათგანის პოლიტიკურ სტატუსს სათანადო გამოძახილი და პრაქტიკული შედეგი მოსდევს. კონფერენციაზე ითქვა, რომ თავისი იატრიტატია და ზეგავლენით დიდ საქმეს აკეთებენ ბოლშევიკი, რომლებიც ხელს უშლის ცალკეული დარგების განვითარებას, უკან იწევა რაიონის საერთო მაჩვენებლებს.

როგორც კონფერენციის მთელმა მსვლელობამ გვიჩვენა, მეცხოველეობის ჩამორჩენიდან გამოყვანა რაიონში № 1 პრობლემაა. საქმე ის არის, რომ ეს დარგი ჯერ კიდევ არ არის რენტაბელური. მაღალია წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება. მეცხოველეობის ზარალმა შარშან 900 ათას მანეთს გადააჭარბა.

ჯერ ერთბოლ ვერ მოხერხდა კომუნისტების, მთელი საზოგადოებრიობის დარაზვა ნრეს ბადასული ჭორწყლებისა და ქველეხების. რელიგიური დღესასწაულების წინააღმდეგ საბრძოლველად, ახუთში, ნაკიანში, ჭოლაში, თქვა, კოლმეურნეობებისა და სახელმწიფოს ორ მილიონ მანეთზე მეტი თანხა დაიხარჯა, მაგრამ „საქმთავარენერგო“ ამას ინუფშიც არ აგდებს. სამი წელიწადია, რაც „ჩხოროპესი“ „ბულცოვად“ დგას და დენს არ იძლევა.

საშველი არ დადგა ცხაკაია-ჩხოროწყუს გზის. რაიონისათვის ამ მეტად სასიცოცხლო სავნაო არტერიის. კეთილმოწყობასა და მოასფალტებას. ჩხოროწყუში იყო რკინიგზის ბილეთების წინასწარი გაყიდვის სალარო, მიერან გაიუქმეს, რის გამოც მოსახლეობა უკმაყოფილოა. 40 წელზე მეტია არსებობს ლენინის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, მაგრამ სასმელი წყლით მისი უზრუნველყოფა დღემდე ვერ მოხერხდა. უნიდობა სტანდავეს ამავე სოფლის რუსთაველის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებს. მთელი ძალით არ მიმდინარეობს ბრძოლა მცენარეთა მავნებლების წინააღმდეგ. ცხაკაიაში მყოფი სპეციალისტები კი, რომელთა მომსახურებაშიც არის ეს რაიონი, ჩხოროწყუში შორეული სტუმრებივით გამოჩნდებიან ხოლმე. „საქსოფლტექნიკის“ ადგილობრივ განყოფილებას უნდა დაუბრუნდეს ვიჭრობის ფუნქციები, რომელიც სხვა რაიონებს აქვს დაკისრებული, — ეს აღნიშნეს კონფერენციაზე მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. თოდუამ, ცნობილმა მეჩაიემ ეთერ ცირამუამ, ლენინის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივანმა ე. მელანიამ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა გ. ცირამუამ, საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს თავმჯდომარემ ა. ლაგვილავამ.

კონფერენციაზე კომუნისტების გულისდილი საუბარი საჭირბოროტო საკითხებზე, მათი წინადადებანი იმის გარანტია უნდა იყოს, რომ ჩხოროწყუელებმა წარმატებით დაამთავროს მიმდინარე ხუთწლედი. ყველა საჭირო წინაპირობა შექმნან მეათე ხუთწლედის ამოცანათა გადასაწყვეტად.

ბ. მილიუტინი,
„კომუნისტის“ ხაკ კორ.

„კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

მივხედოთ კულტურის ძეგლებს

რედაქციას შეპასუხებს კუთაისის საქალაქო ხაბჭოს აღმასკომი

კუთაისის მიდამოებში არსებული კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს ეხებოდა ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი კრიტიკული წერილი „მივხედოთ კულტურის ძეგლებს“. ამის გამო ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი გვაცნობებს:

ამ საქმეში სერიოზულ ნაკლოვანებებზე, რაც სამართლიანად იყო აღნიშნული გაზეთში დაბეჭდილ წერილში, ფამჯელა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება. ბაგრატის ტაძრის აღდგენა-გამაგრების სამუშაოები ძირითადად დამთავრებულია. მიმდინარეობს სარესტავრაციო სამუშაოები.

საქალაქო საბჭოს აღმასკომი რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსთან ერთად შეეცდება გამონახოს სათანადო თანხები ამ ძეგლისა და სხვა ძეგლების აღდგენითი სამუშაოებისათვის ან მის საზოგადოებრივ საწყისებზე შესასრულებლად.

ამ საკითხზე მიღებულია აგრეთვე საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურის ძეგლთა დაცვისა და სახვითი ხელოვნების სამმართველოს შემდეგი პასუხი:

წერილი „მივხედოთ კულტურის ძეგლებს“ სწორად ასახავს აღნიშნულ ძეგლების მდგომარეობას.

ბაგრატის ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო მეთოდური საბჭოს მიერ დამტკიცებული პროექტის შესაბამისად და პროექტის ავტორის ვ. ცინცაძის უშუალო ხელმძღვანელობით წარმოებს. სამუშაოების დაჩქარება შიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, რადგან მუშაობის პროცესში ხდება აგრეთვე ძეგლის კვლევა, რაც გარკვეულ დროს მოითხოვს.

სათაფლიისა და დინოზაურების ნაკვალევსასთვის ყურადღებიდ მიქცევა დავალებული აქვს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს.

სიამოვნება და სინანული

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 12 სექტემბრის ნომერში დაბეჭდა კრიტიკული წერილი, რომელიც ეხებოდა გაგრის სანატორიუმ „თბილისის“ ფილიალის — „გრეხენშოკის“ დასასვენებელი სახლის მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ამის გამო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროდან გვატყობინებენ, რომ წერილში მოყვანილი ნაკლოვანებების გამოსასწორებლად დასახულია ღონისძიებები.

„თბილისელ-ქალაქპროექტში“ მუშავდება დასასვენებელი სახლის — „გრეხენშოკის“ კეთილმოწყობის პროექტი რომელიც ითვალისწინებს პლაჟზე ჩასასვლელისა და ამოსასვლელის მექანიკური (ლიფტის, ეტლ-ლიფტორის) მოწყობილობების დაყენებას, პლაჟის კეთილმოწყობას, გაფართოებასა და სანაპიროს გასწვრივ ტალღმცველის აშენებას, ზღვაზე გადასასვლელი მოედნებისა და საშხაპეების, საბავშვო-სპორტული მოედნების, მწვანე კინოთეატრის, ბავშვის საჭყუმპალიო აუზის მშენებლობას, ბირეული მოხმარების საგნების მაღაზიის, საპარიკმახეროს, ტურნალგაზეთების გასაყიდი კიოსკების მოწყობას, ახალი წყალსადენის გაყვანას, კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის აშენებას.

კავშირგაბმულობის ხაზები მოხსნილია ნარგავებიდან და გაყვანილია ახალადაყენებულ ბოძებზე. არსებული სატელეფონო კაბელი მთლიანად დაეთმობა დასასვენებელ სახლს, გაიყვანენ ახალ წყალსადენს, მოეწყობა საშხაპეები და დასასვენებელი სახლის ყველა ოთახი უზრუნველყოფილი იქნება წყლით.

ზემდგომი ორგანოების წინაშე დასმულია ბავშვებისათვის დასასვენებელი სახლის საგზურის ღირებულების შემცირების საკითხი.

დასასვენებელ სახლში დამსვენებელთა კვებას მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის შედგენილია შვიდდღიური მენიუები, რომლებიც გამდიდრებულია დელიკატესენის სუბპროდუქტებს, ბოსტნეულისა და ეროვნული კერძების ხარჯზე.

დასასვენებელი სახლის „გრეხენშოკის“ კეთილმოწყობისათვის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ 1976 წლისათვის გამოყო ოთხასი ათასი მანეთი.

ეს რა დასვენებაა

რედაქციას უპასუხობს პროფკავშირთა საქართველოს კურორტების მართვის რესპუბლიკური ხაბჭო

სანატორიუმ „ქობულეთის“ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს ეხებოდა ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი წერილი „ეს რა დასვენებაა“. ამის გამო პროფკავშირთა საქართველოს კურორტების მართვის რესპუბლიკური ხაბჭოს თავმჯდომარე პ. ჩიკვილაძე რედაქციას სწერს:

გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილ წერილში აღნიშნული ნაკლოვანებები, რომელიც ადგილზე შეისწავლა სპეციალურმა კომისიამ, ძირითადად დადასტურდა.

1975 წლის პირველ ნახევარში ძლიერი ქარიშხლის, ტროპიკული წვიმებისა და ზღვის ღელვის შედეგად სანატორიუმ „ქობულეთის“ შენობა საგრძნობლად დაზიანდა. ქობულეთის კურორტების მართვის ტერიტორიული საბჭოს მიერ ჩატარებული აღდგენითი სამუშაოები არ აღმოჩნდა სრულყოფილი. ამჟამად გატარებულია ზომები თუნუქით სანატორიუმის შენობის სახურავის ნაწილობრივ შესაცვლელად, აგრეთვე მიმდინარეობს სხვა შესაკეთებელი სამუშაოები.

ზორცელდება ღონისძიებები სანატორიუმის მუშაობაში სხვა ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად დამსვენებელთა მომსახურების მკეთრი გაუმჯობესებისათვის.

„ეს ... ეს ...“

**ეს ... ეს ...“ ... ...

კომუნიზმისათვის მგზნებარე მებრძოლი

მ. ი. კალინინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის მიხეილ ივანეს-ძე კალინინის დაბადების მეასე წლისთავს მიეძღვნა საზეიმო კრება, რომელიც 18 ნოემბერს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა. აქ შეიკრიბნენ წარმოების მოწინავენი, კომუნისტური პარტიის ვეტერანები, დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, საბჭოთა არმიის მეომრები, კალინინის ოლქის წარმომადგენლები.

პრეზიდიუმში იჯდნენ ამხანაგები ვ. ვ. გრიშინი, ა. პ. კირილენკო, თ. დ. კულაკოვი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, მ. ა. სუსლოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ი. დოლგიხი, ი. ვ. კაბანოვი.

პრეზიდიუმში იგრეთვე არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილენი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილენი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარენი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, პარტიის მოსკოვის საქალაქო, სოფლის კომიტეტების, საკავშირო პროფსაბჭოს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი, მხედართმთავრები, დედაქალაქის წარჩინებული ადამიანები.

კრება გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ვ. გრიშინმა.

მოხსენება — „პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე“ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პონომარიოვმა.

ჩვენ აქ შევიკრიბეთ, თქვა მან, რათა საზეიმოდ ღესანიშნოთ მ. ი. კალინინის დაბადების ასი წლისთავი და ჯეროვნად დავაფასოთ ამ გამოჩენილი ლენინელი ბოლშევიკის, ჩვენი პარტიის თვალსაჩინო მოღვაწის, საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი დამაარსებლისა და უმაღლესი ხელმძღვანელის, მასების შესანიშნავი ორგანიზატორისა და ლმობრდელის ხსოვნა.

გადის წლები და ათწლეულები, მაგრამ „საკავშირო მამასახლისს“ სახელი და საქმეები მუდამ ახლოებელია საბჭოთა ადამიანებისათვის, სათუთად არის დაცული ხალხის ხსოვნის საგანძურში.

მთელი თავისი ცხოვრება მ. ი. კალინინმა მოაზმარა პარტიის საქმეს. პროფესიონალი რევოლუციონერი, იატაკქვეშელი, იგი 1919 წლიდან იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობაში. მეოთხედ საუკუნეზე მეტ ხანს მ. ი. კალინინი მეთაურობდა სრულიად რუსოთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, სსრ კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. იგი შეშმარიტად სახალხო პრეზიდენტი იყო, ქვეყნისა, რომელიც დასაბამი მისცა მსოფლიო ისტორიის ახალ ეპოქას.

დიდი ლენინის უშუალო ხელმძღვანელობითა, მისი უახლოესი თანამებრძოლების მხარდამხარ მ. ი. კალინინი რაზმავდა ოქტომბრის პოლიტიკურ არმიას, საფუძველს უყრიდა და აგებდა ახალი სოციალისტური საზოგადოების დიდებულ შენობას. თავისი გზა მან დაიწყო შაგბნელი რეაქციის დროს, როცა მხოლოდ ლენინსა და მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლებს შეეძლოთ დაენახათ რუსეთის ცაზე მომავალი რევოლუციის გარიჟრაჟი. მ. ი. კალინინის გზა კი დამთავრდა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების შედეგად პირველ წელს, რომელმაც მთელ მსოფლიოს უჩვენა სოციალისტური მონაპოვრების ურყევი სიმტკიცე, საბჭოთაის ძლევამოსილება.

არა ყოფილა პარტიულ-სახელმწიფო მშენებლობის არც ერთი დიდი სფერო, რომელშიც ენერგიულად და ნაყოფიერად არ მუშაობდა მ. ი. კალინინს.

შემდეგ მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო მიხეილ ივანეს-ძე კალინინის ცხოვრების გზას.

თავისი მოღვაწეობის ხასიათის გამო, განაგრძო შემდეგ მომხსენებელმა, მ. ი. კალინინი განსაკუთრებით დიდ უურადღებას უთმობდა საბჭოებს. იგი ზრუნავდა მასებთან საბჭოებს კავშირის განმტკიცებისათვის, დაუცხრომლად უუსაობდა საბჭოების პირველი კადრების მომზადებისათვის.

მას მთავრად, გადამწყვეტად და ძირითადად, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ ხალხს მისცა, ის მიაჩნდა, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები — დიდი თუ ყველაზე მცირერიცხოვანი ხალხები, რომლებიც ახლო წარსულში დაბეჩავებული იყვნენ და ეკსპლოატაციას განიცდიდნენ, — საკუთარი ცხოვრების ბატონ-პატრონები გახდნენ.

ჩვენი სოციალისტური დემოკრატია არა მარტო აცხადებს, არამედ რეალურად უზრუნველყოფს კიდეც მრავალეროვანი მილიონიანი მასების უფლებებს, ფართოდ უხსნის მათ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობის კარს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დაუცხრომლად ზრუნავს სოციალისტური დემოკრატიის განვითარებისათვის, დღეხადგ აკეთარებს და სრულყოფს სოციალისტური სახალხო ხელისუფლების მექანიზმს.

ამ მუშაობის კოხკრეტული მიმართულებანი, როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, ის არის, რომ „უფრო აქტიურად მიიღონ მონაწილეობა მასებმა მართვა-გამგეობაში, უფრო სრულად განახორციელონ საბჭოებ, თავიანთი მრავალფეროვანი ფუნქციები საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი ხელმძღვანელობაში; უფრო თანამიმდევრულად შეასრულონ აღმასრულებელმა ორგანოებმა წარმომადგენლობითი ორგანოებისადმი ანგარიშვალდებულების პრინციპი; კიდევ უფრო განვამტკიცოთ სოციალისტური კანონიერება; გავაუმჯობესოთ სახალხო კონტროლის საქმიანობა“.

საბჭოთა კანონმდებლობა ჩვენი მოქალაქეებისათვის უზრუნველყოფს ფართო პოლიტიკურ თავისუფლებებს. ამასთან იგი ითვალისწინებს ამ თავისუფლებების ბოროტად გამოყენების ყოველგვარი ცდის, ჩვენი წყობილების, საბჭოთა ხალხის ინტერესების საზიანოდ მათი გამოყენების აღკვეთას.

ჩვენში, თქვა ბ. ნ. პონომარიოვმა, სულ უფრო სრულად ხორციელდება მ. ი. კალინინის მისწრაფება — საბჭოთა დემოკრატია ყოფილიყო ისეთი, რომ „თვითეული ადამიანი, ჩვენი საზოგადოების თვითეული წევრი გრძნობდეს თავს ორგანულ კავშირს ამ საზოგადოებასთან, რომ სახელმწიფო ეხმარებოდეს მას მთელი მისი ინდივიდუალური უნარის განვითარებაში“.

მ. ი. კალინინი თანამიმდევრულად იცავდა ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებს საერთაშორისო ასპარეზზე, მის მშვიდობისმოყვარეულ საგარეო-პოლიტიკურ კურსს. „ჩვენ, — ამბობდა იგი, — მტკიცედ ვიბრძვით მშვიდობის შენარჩუნებისათვის, მხარს ვუჭერთ იმ ხალხებს, რომელთა თავისუფალ არსებობას საფრთხე ელის; ჩვენი მხრივ მნიშვნელოვან ღონისძიებებს ვახორციელებთ სხვა სახელმწიფოებთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებისათვის“. ვ. ი. ლენინის მითითებანი ომის წინააღმდეგ, მშვიდობის განმტკიცებისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების გამარჯვებისათვის ბრძოლის საჭიროების შესახებ, ხაზგასმით აღნიშნავდა მ. ი. კალინინი, მთლიანად ძალაში რჩება.

როგორ ეხმიანება მ. ი. კალინინის ეს გამონათქვამები ჩვენს დღეგანდელ სინამდვილეს! ასრულებს რა სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებულ მშვიდობის პროგრამას, ჩვენი პარტია თვალსაჩინოდ ცხადყოფს, რომ პრინციპული და მემკვიდრეობითია მისი ლენინური მშვიდობისმოყვარეული საერთაშორისო პოლიტიკა, უცვლელია მისი კეთილშობილური მიზნები.

მ. ი. კალინინს, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, სამართლიანად ეკუთვნის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ადგილი პარტიის საქმის, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის გამოჩენილ პროპაგანდისტთა შორის.

მის ნაწარმოებებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა ადამიანებისათვის კომუნისტური იდეურობის ჩანერგვის საკითხებს.

მ. ი. კალინინს კომუნისტური აღზრდის პრინციპად საფუძვლად მიაჩნდა უწყვეტი კავშირი ჩვენი საზოგადოების მშენებლობის პრაქტიკასთან.

მ. ი. კალინინი, რომელმაც კარგად იცოდა ხალხის მასების ცხოვრების მთელი სიდუხჭირე მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის დროს, განსაკუთრებით გულშიჩამწვდომად აშუქებდა რეალური სოციალიზმის დიად მნიშვნელობას. იგი ადამიანებს უნერგავდა სამშობლოს სიყვარულს. ამასთანავე, იგი ამბობდა, „საქმე ეხება არა განყენებულ, არა პლატონურ სიყვარულს, არამედ შეუპოვარ, აქტიურ, მგზნებარე, დაუოკებელ სიყვარულს, ისეთ სიყვარულს..., რომელიც არ უშინდება არავითარ მსხვერპლს სამშობლოს საკეთილდღეოდ“.

მ. ი. კალინინი დღენიადაგ აღნიშნავდა, რომ საბჭოთა პატრიოტიზმი და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი ორგანულად ავსებენ ერთმანეთს. იგი ამაყობდა იმით, რომ საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად და განუხრელად ასრულებს თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას მთელი მსოფლიოს მშრომელთა წინაშე.

მ. ი. კალინინი იყო ლენინური პარტიულობის ნამუში. ოპორტუნისტების, ტროცკისტებისა და მემარჯვენე უკლონისტების, ფრაქციონერების წინააღმდეგ პარტიის ყველა ბრძოლაში იგი უდრეკად იცავდა ლენინურ კურსს და უდიდესი წვლილი შეიტანა პარტიის გენერალური ხაზის გამარჯვებაში.

დიდად სცემენ რა პატივს და მადლობას უძღვნიან მ. ი. კალინინს, ვ. ი. ლენინის გამოჩენილ თანამებრძოლს, აღნიშნა მომხსენებელმა, ჩვენი პარტია და საბჭოთა ხალხი, სოციალური პროგრესისა და ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლები მთელ მსოფლიოში სათანადოდ აფასებენ ლენინელ ბოლშევიკთა მთელ დაუვწყარ კოპორტას, რომლებიც რუსეთის პროლეტარიატის ღირსებასა და სიამაყეს წარმომადგენლნენ.

ჩვენი პარტია, მისი ლენინური ხელმძღვანელი შტაბი — ცენტრალური კომიტეტი, პოლიტბიურო ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის აღნიშნა, ის არის, რომ „უფრო აქტიურად მიიღონ მონაწილეობა მასებმა მართვა-გამგეობაში, უფრო სრულად განახორციელონ საბჭოებ, თავიანთი მრავალფეროვანი ფუნქციები საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი ხელმძღვანელობაში; უფრო თანამიმდევრულად შეასრულონ აღმასრულებელმა ორგანოებმა წარმომადგენლობითი ორგანოებისადმი ანგარიშვალდებულების პრინციპი; კიდევ უფრო განვამტკიცოთ სოციალისტური კანონიერება; გავაუმჯობესოთ სახალხო კონტროლის საქმიანობა“.

საბჭოთა კანონმდებლობა ჩვენი მოქალაქეებისათვის უზრუნველყოფს ფართო პოლიტიკურ თავისუფლებებს. ამასთან იგი ითვალისწინებს ამ თავისუფლებების ბოროტად გამოყენების ყოველგვარი ცდის, ჩვენი წყობილების, საბჭოთა ხალხის ინტერესების საზიანოდ მათი გამოყენების აღკვეთას.

ჩვენში, თქვა ბ. ნ. პონომარიოვმა, სულ უფრო სრულად ხორციელდება მ. ი. კალინინის მისწრაფება — საბჭოთა დემოკრატია ყოფილიყო ისეთი, რომ „თვითეული ადამიანი, ჩვენი საზოგადოების თვითეული წევრი გრძნობდეს თავს ორგანულ კავშირს ამ საზოგადოებასთან, რომ სახელმწიფო ეხმარებოდეს მას მთელი მისი ინდივიდუალური უნარის განვითარებაში“.

მ. ი. კალინინი თანამიმდევრულად იცავდა ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებს საერთაშორისო ასპარეზზე, მის მშვიდობისმოყვარეულ საგარეოპ

გულთბილი შეხვედრები

ფესტივალის დღიური

ცისფერი ეკრანის ოსტატთა შემოქმედების მასობრივ დათვალიერებაზე დაიწყო ყოველდღიური მუშაობა.

კონლენტების გასინჯვის შემდეგ ფესტივალის მონაწილენი ესტუმრნენ თბილისის საწარმოების მუშებსა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს. გულთბილი შეხვედრა გაიმართა ქალაქის მოწინავე საწარმოში — ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელ ქარხანაში. აქ მოვიდნენ ყაზახეთის, მოლდავეთის დელეგაციების წევრები, რიგის კინოსტუდიის, გორკისა და ნოვოსიბირსკის ტელეფილმების სტუდიების შემოქმედებითი ჯგუფები. სტუმრებმა დათვალიერეს ქარხნის საამქროები, სადაც შრომობს ოთხი ათასამდე კაცი — სსრ კავშირის ხალთა 20 ეროვნების წარმომადგენელნი. მათი ყურადღება მიიპყრო საცდელმა უბანმა, სადაც „ახოვრების საგზური“ მიიღო საამწყობო საამქროდან ახლახან გამოშვებულმა ვლ-10 მარკის მძლავრმა ლოკომოტივმა. საცდელი სადგურის უფროსმა ვ. სავენკოვმა გააცნო მათ მისი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. ელექტროტატბელერთა საამქროში ახალგაზრდა ოსტატმა ა. ჭაბაშვილმა, რომელმაც გორკის ოცდაერთწლიანში მიიღო პრაქტიკა, სტუმრებს უჩვენა უნივერსალური შტაბელები, რომელიც სულ სხვადასხვაგვარ ოპერაციებს ასრულებს.

ფესტივალის მონაწილეებს მიეს-ალმნენ საქართველოს სსრ მუშაკი მ. ბასილაია, ლენინის ორდენოსანი ზეინკალი გ. მეტონიძე, ელექტროშტაბელერთა საამქროს ოსტატი გ. ბოროვნენკო, მათ უამბეს მუშების მეგობრობაზე ქართველ კინემატოგრაფისტებთან, რომლებმაც აქ გადაიღეს მხატვრული ფილმი „ქალაქი ადრე ღამდებას“.

თავიანთი შემოქმედებითი გეგმები წარმოების მუშაკებს გაუზიარეს გორკის ტელევიზიის სტუდიის რეჟისორმა მ. მარაშმა, „უახბატელეფილმის“ სტუდიის მთავარმა რედაქტორმა გ. გაბიტოვმა, რიგის კინოსტუდიის რეჟისორმა რ. კალნინშმა და სხვებმა. სტუმრებს გადასცეს სამახსოვრო სუვენირები.

ამ დღეს უკრაინიდან, ლენინგრადიდან ჩამოსულ ფესტივალის მონაწილეებს, გაერთიანება „ეკრანის“, დოვეტნკოს სახელობის კინოსტუდიის მუშაკებს, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოსულ სტუმრებს მასპინძლობა გაუწიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა და მასწავლებლებმა, სომხეთის, ბელორუსიის, ესტონეთის, თურქმენეთის, ბაშკირეთის დელეგაციები, ბულგარეთისა და ჩეხოსლოვაკიის ტელევიზიის მუშაკები მიიღო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის კოლეგიუმმა, „მოსფილმის“, ლატვიის, ახერბაიჯანის, ლიტვის, ზოვსპირეთის მხარის შემოქმედებითი მუშაკები, პოლონეთიდან, უნგრეთიდან, იუგოსლავიიდან ჩამოსული სტუმრები — სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა და პროფესორებმა, (საქინფორმი).

მინიატურული წიგნები

ბრეჯელი წელია ხამოქალაქი ომის ვეტერანი ბორის პოლიკი აგროვებს მინიატურულ წიგნებს. ამას წინათ ეს უნიკალური კოლექციანი ექსპონირებული იყო გამოფენაზე, რომელიც თბილისის 26 კომბინატის სახელობის წიგნოცდრაშოვან უმაღლეს საარტილერიო მეთაურთა სასწავლებელში მოეწყო. გამოფენამ კურსანტებისა და მასწავლებლების დიდი ინტერესი გამოიწვია. (საქინფორმი).

სურათზე: თბილისის ჭადრაკის სახახლე. ნონა გაფრინდაშვილისა და ნანა ალექსანდრიის ორთაბრძოლა.

ს. კილაძის ფოტო.

„მურზილკა“ „დილის“ ფურცლებზე

ეურნალ „დილის“ წლევანდელი მეთერთმეტე სახალემბრო ნომერი მთლიანად რუსულ სამეგზაურო მწერლობას ეთმობა.

ეურნალში დაბეჭდილია რუსი მწერლების: სერგეი ალექსეევის, ლიდია კონის მოთხრობები, სამეფო მარშაკის ცნობილი ნაწარმოები ბრიკეი წრუწუნას ზღაპარი.

ნომერში სტუმრად არის რუსული საყმაწვილო ეურნალის „მურზილკის“ წლევანდელი მეთერთმეტე ნომერი, ე. ი. მოთხრობები, ლექსები და ზღაპრები რუსულად და ქართულად ერთდროულად დაბეჭდილი მოსკოვსა და თბილისში.

ეურნალი თავის მკითხველებს აცნობს ბაიკალ-ამურის magistralის დიდ მშენებლობას და ბეჭდავს ამ გრანდიოზული მშენებლობისადმი მიძღვნილ გ. ბახტაძის ნარკვევს „ნია ვრეზინსკაიას“ და გ. წერეთლის ორ ლექსს — „ნიას“ და „ბაშს“.

ეურნალი მდიდრულად არის გაფორმებული ცნობილი ქართველი მხატვრების მიერ.

ძველი სასახლის ახალი დანიშნულება

დუშეთი. (ხაკ. კორ.) ასე ეძახიან გვიანფეოდალური ხანის ხუროთმოძღვრულ ძეგლს, რომელიც რაიონული ცენტრის მახლობლად, მაღლობზეა აღმართული. უკანასკნელ დრომდე აქ მოთავსებული იყო „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილება და რამდენიმე ოჯახი, რის გამოც ხდებოდა პირვანდელი სახლის შეცვლა-გადაკეთება.

სათანადო დადგენილებით ამალახვრიანი სასახლე ბაზად გადაეცა დუშეთის რაიონში მომუშავე ხაჭართველოს სსრ შეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ენინგალის არქეოლოგიურ ექსპედიციას. ამჟამად მიმდინარეობს სასახლის რეკონსტრუქცია, რომელშიც მოეწყობა საფონდო სათავსები არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალების შესანახავად, მოეწყობა აგრეთვე ფოტოლაბორატორია, მეცნიერი მუშაკების სამუშაო ოთახები, სხვადასხვა დარბაზი.

ჩვენი იუბილიანები

შეგვეკითხეთ, გიპასუხებთ

შეკითხვა: ადმინისტრაციას შეუძლია თუ არა მუშაკს გადაუტანოს კუთვნილი შვებულება?

ბ. ლეონიძისეული, თბილისი

პასუხი: მუშებსა და მოსამსახურეებს შვებულება უნდა მიეცეთ ყოველ წელს, დადგენილ ვადაში.

გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც მუშის ან მოსამსახურისათვის მომდინარე სამუშაო წელს შვებულების მიცემამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მუშაობის ნორმალურ მსვლელობაზე, დასაშვებია მუშაკის თანხმობით, პროფესიული კავშირების საფბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით, შვებულების გადატანა შემდეგი წლისათვის. გადატანილი შვებულება შეიძლება დაემატოს შემდეგი სამუშაო წლის შვებულებას.

აკრძალულია ყოველწლიური შვებულების მიუცემლობა ზედიზედ ორი წლის განმავლობაში, აგრეთვე შვებულების მიუცემლობა მუშაკებისათვის, რომლებსაც თვრამეტი წელი არ შესრულებიათ და იმ მუშაკებისათვის, რომლებსაც შრომის მავნე პირობებთან დაკავშირებით აქვთ დამატებითი შვებულების უფლება (შრომის კანონთა კოდექსის 72-ე მუხლი).

შეკითხვა: დასაშვებია თუ არა მუშაკისათვის უნელფასო შვებულების მიცემა?

მ. ლეონიძისეული, ქუთაისი.

პასუხი: ოჯახური პირობების და სხვა საპატიო მიზეზის გამო ადმინისტრაციას შეუძლია მუშაკს მისი თხოვნით მისცეს მოკლევადიანი უნელფასო შვებულება.

ამასთან ასეთი შვებულების ხანგრძლივობა არ შეიძლება აღემატებოდეს ორ კვირას.

შეკითხვა: დასაშვებია თუ არა შვებულების ფულადი კომპენსაციით შეცვლა?

თ. კობახიძე, რუსთავი.

პასუხი: ფულადი კომპენსაციით შვებულების შეცვლა დაუშვებელია. ამასთან სამუშაოდან დათხოვნის შემთხვევაში მუშაკს, რომელსაც შვებულებით არ უსარგებლია, უფლება აქვს მიიღოს გამოუყენებელი შვებულების ფულადი კომპენსაცია (ბრძოლის კანონთა კოდექსის 68-ე მუხლი).

შეკითხვა: ხახელმწიფო ან საზოგადოებრივი საქიროებისათვის სახლის აღების შემთხვევაში საცხოვრებელი ბინის დამქირავებელს აქვს თუ არა უფლება მოითხოვოს საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფა?

გ. ბურჯანაძე, ქუთაისი.

პასუხი: სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საქიროებისათვის მოქალაქეთა პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლის აღების შემთხვევაში საცხოვრებელი ბინის დამქირავებელსა და მისი ოჯახის წევრებს ეძლევათ სხვა კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ფართობი იმავე დასახლებულ პუნქტის ფარგლებში კაპიტალური ტიპის სახლში და ფართობით არ შეიძლება იყოს იმაზე ნაკლები, რაც მათ აქვთ დაკავებული ასაღებად განკუთვნილ სახლში. ამასთან, თუ დამქირავებელს აქვს ზედმეტი საცხოვრებელი ფართობი, სხვა ბინა მას უნდა მიეცეს კანონით დადგენილი ნორმის მიხედვით, ოჯახის თვითეულ წევრზე 12 კვადრატული მეტრი.

ახალგაზრდების რაიონის პიონერები და მოსწავლეები ეცნობიან მშობლიურ მხარეს, აწყობენ ლაშქრობებს ჯავახეთის ისტორიულ ადგილებში და რაიონის ახალშენებლობებზე. **სურათზე:** პიონერთა ერთი ჯგუფი ათვალიერებს ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპონატებს.

ს. ბერაძისეული ფოტო.

ეკატერინე ამირეჯიბი

ეკატერინე ამირეჯიბი — ქართული ბიბლიოთეკა

ეკ. ამირეჯიბი დაიბადა 1888 წლის 22 თებერვალს გორის რაიონის სოფელ ხურვალეთში.

1906 წელს თბილისის ქალთა ეპარქიალური სასწავლებლის დამთავრებამ შემდეგ მონაწილეობდა აგჯალის აუდიტორიაში გამართულ სპექტაკლებში. აქ მან მარიამ დემურიას ხელმძღვანელობით რამდენიმე როლი შეასრულა. მალე ც. ამირეჯიბი მოსკოვში გაემგზავრა ხელოვნების დარგში განათლების მისაღებად.

საქართველოში დაბრუნებული ნაზეხიობი ლ. მესხიშვილმა და ვ. გუნიამ თბილისის დრამატულ თეატრში სამუშაოდ მიიწვიეს. პირველმავე როლმა (ზეინაბი „ლალატში“) მსახიობს დიდი წარმატება მოუტანა. 1911 წლიდან იგი უკვე პროფესიულ მსახიობთა დასში ჩაირიცხა. აქედან დაიწყო მსახიობის დიდი გზა ხელოვნებაში.

საქართველოში თითქმის არ დარჩენილა ინთშენელოვანი თეატრი, რომელშიც ც. ამირეჯიბს არ ეთამაშა. იგი თანაბარი წარმატებით გამოდიოდა თბილისელი და ქუთაისელი, ბათუმელი და სოხუმელი მაყურებლების წინაშე, მოღვაწეობდა ბაქოს ქართულ თეატრში.

ც. ამირეჯიბმა ორმოცე წელზე მეტი იმუშავა ქართულ თეატრში და ასორმოცდაათზე მეტი როლი შეასრულა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: ქეთევანი („სამშობლო“), თამარი („ზოთა რუსთაველი“); ზეინაბი („ლალატი“), ქეთევან დედოფალი („ქმეთევან წამებული“) და სხვ.

მსახიობი ვალში არ დარჩენილა ქართული კინემატოგრაფიის წინაშეც. ც. ამირეჯიბმა ერთ-ერთმა პირველმა ნაუყარა საფუძველი ქართულ ეკრანადაზე მხატვრული კითხვის ტრადიციას, იყო საქართველოს რადიოს პირველი დიქტორი, წლების მანძილზე ეწეოდა ჰედაგოგიურ მოღვაწეობას, ჯერ აკ. ფალავას სტუდიაში, სოლო მოგვიანებით—სახალხო მწერალთან არსებულ სტუდიაში, სადაც სასცენო მეტყველების კურსს კითხულობდა.

ცაცა ამირეჯიბის სსოვნა მარად დარჩება ქართული თეატრისა და კინოს მოყვარულთა გულში.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო; საქართველოს თეატრალური საზოგადოება; საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი.

ჭიდაობა

ი. მაღალაშვილი და ა. ოქროპირიძე — პირველნი

ბელიაბინსკის „იუნოსტის“ სპორტის სასახლეში მიმდინარეობს სსრ კავშირის თასის პირადგუნდური ვითამაშება სამოში. ასპარეზობაში გამოდის სპორტსაზოგადოებათა და უწყებების ნაკრები გუნდების 200-ზე მეტი ფალავანი, მათ შორის მსოფლიოს ექს-ჩემპიონები ი. მაღალაშვილი, ნ. ჟურბაევი, ა. ფეოდოროვი.

კარგად გამოდიან ბელიაბინსკის ხაჭიდაო ხალიჩაზე ქართველი ფალავნები. თბილისელი სტუდენტი იოსეფ მაღალაშვილი უძლიერესი იყო 52 კგ წონით კატეგორიაში, ხოლო მეორე თბილისელმა მოჭიდავემ, არმენელმა აკაკი ოქროპირიძემ გამარჯვება მოიპოვა 74 კგ კატეგორიაში მოასპარეზეთა შორის.

ქრონიკა

მეორე მატჩი — გამარჯვება

ნიუ-იორკი, 19 ნოემბერი. (საადელის კორ.). ამერიკელ და საბჭოთა მძიმე წონის მოკრივეთა მეორე შეხვედრა ოჰაიოს შტატის ქალაქ ციანციანატში დამთავრდა ჩვენი სპორტსმენების გამარჯვებით — 7:2.

სსრ კავშირის გუნდში გაიმარჯვეს რისკევიჩმა, ალექსეევმა, კლიმანოვმა, ნიკულინმა, ივანოვმა, ულიანინმა და გოროსტოვმა.

„ტაიმ-აუტი“

ბუენოს აიერესის ჭადრაკის სასახლეში უნდა დამთავრებულიყო ნ. გაფრინდაშვილ-ნ. ალექსანდრიას მატჩის მორიგი, მეცხრე გადადებული პარტია. მაგრამ იგი გადატანილია პრეტენდენტის ავადმყოფობის გამო. ამ მესამე შესვენების შემდეგ ნ. ალექსანდრიას უკვე აღარა აქვს „ტაიმ-აუტის“ უფლება. ახლა მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონს შეუძლია დაისვენოს.

ამრიგად, ანგარიში კვლავინდებურად რჩება 5,5:2,5 ნ. გაფრინდაშვილის სასარგებლოდ.

დღეისათვის დანიშნულია მორიგი, მეათე პარტია, რომელშიც თეთრებით ითამაშებს პრეტენდენტი, ხოლო მეცხრე პარტიის დამთავრება უნდა გამართულიყოს ერთად დღის შემდეგ.

მთავარ როლში

მსოფლიოს ჩემპიონი მძიმე წონაში პროფესიონალ მოკრივეთა შორის მოპამედ ალი (კასიუს კლეი) არასოდეს არ გამოირჩეოდა, როგორც ინტეგენტ, ზედმეტი თავმდაბლობით. აი ახლაც: თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში — „უდიდესი“ — მან საკუთარი თავი თანამედროვეობის უძლიერეს მოკრივედ გამოაცხადა.

გაზეთ „ინტერნეიშნლ ჰერალდ ტრიბიუნის“ ცნობით, ამერიკელ კინემატოგრაფიულებს განზრახული აქვთ „უდიდესის“ ეკრანიზაცია. როგორ ფიქრობთ, ვინ ითამაშებს ამ ფილმში მთავარ როლს?— თვით მოპამედ ალი

მოკლედ

ჭიდაობა. ლენინგრადის ზამთრის სტადიონზე დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება ძიუ-დოში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „დინამო“ და შეიარაღებული ძალების ნაკრები გუნდები. ანგარიშით 6:3 გაიმარჯვეს დინამოელებმა, რომლებმაც მოიგეს სამატიო თასი.

ბორბი ორ დღეს გრძელდებოდა მოსწავლეთა რესპუბლიკური პირადი პირველობა ძიუ-დოში, რომელშიც 17 რაიონისა და ქალაქის 120 მოჭიდავე მონაწილეობდა. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველობა მოიპოვეს: რ. ჩივაძემ, თ. კირიაულმა (ორივე — თბილისი), შ. მაჭავარიანმა (ზესტაფონი), გ. გოლუბიანმა (ოჯონიკიძე), მ. პაიკაძემ (გორი).

ფარიკაობა. ვენაში გამართულ ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე კარგად გამოვიდნენ საბჭოთა მოფარიკავეები. მსოფლიოს ეგზ-ჩემპიონი რომანკოვი უძლიერესი იყო რაპირისტთა შორის, ხოლო ოლიმპიური ჩემპიონი სიდიაკი — ხმლით მებრძოლთა ტურნირში.

ფაზი. ვოროშილოვგრადში სტარტი აიღო 21-ე საკავშირო ჩემპიონატმა ხაერთაშორისო ფაშზე. ორი ტურის შემდეგ წინ არის საერთაშორისო დიდოსტატი, მოსკოველი ვ. ზნიოგოლევი — 2 ქულა.

კრიკეტი. მცირეოდენი შესვენების შემდეგ, რაც გამოწვეული იყო საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთა მატჩებით, უძლიერესი საბჭოთა ჰოკეისტები კვლავ ჩაებნენ საკავშირო ჩემპიონატში. მოსკოვში, ლუჟნიკის სპორტის სასახლეში ერთმანეთს შეხვდნენ გათამაშების ლიდერები — დედაქალაქის „დინამო“ და „სპარტაკი“. მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე სპარტაკელებმა შეძლეს გადამწყვეტი შაიბის გატანა და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:3.

ფეხბურთი. ოდესაში გაიმართა სსრ კავშირისა და ბულგარეთის ჭაბუკთა ნაკრები გუნდების მეორე შეხვედრა. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს სტუმრებმა.

ბილიარდი. ორი ტურნირი დარჩა ფეხბურთში საქართველოს პირველობის დამთავრებამდე. ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ მესამე პრიზიორი — ვეფეტკორის „სალხინო“. გათამაშების სათავეში კვლავინდებურად უდგანან ქალაურის „მაღაროელი“ (65 ქულა 40 შეხვედრიდან) და სოხუმის „დინამო“ (64 ქულა 39 შეხვედრიდან).

ხელბურთი. სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატისათვის ემზადება, ბონში მოუთო გფრ-ის ნაკრებს — 12:10 (10:7).

თანამედროვე ხუთჭიდი. მეხიკოში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე წარუმატებლად აიღო სტარტი ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონმა პავლე ლიდნოვმა. პირველი სასვრობის (ცხენოსნობა) შემდეგ იგი... 33-ე ადგილზე იყო. ახლა ოთხი სახეობის შემდეგ საბჭოთა სპორტსმენი შეკიბრების ლიდერია — 4.104 ქულა. მეორე ადგილზეა უნგრელი ტამაშ კანჩალი — 4.088, მესამეზე — ინგლისელი ჯერემი ფოკსი — 4.082 ქულა. გუნდურ ჩათვლაში წინ არიან უნგრელები, საბჭოთა ნაკრები მეოთხე ადგილზეა. მოასპარეზეთ დარჩნენ ერთი სახეობა — კრისი.

ჩრბბურთი. საინტერესო ორთაბრძოლა გაიმართა ბუქარესტის სპორტის სასახლეში შვიდი ათასი მაყურებლის თანდასწრებით. რუმინეთის ჩემპიონმა, ცნობილმა ჩოგბურთელმა ილიე ნასტასემ მოუგო უიმბლდონის ტურნირის 1974 წლის ჩემპიონს, ამერიკელ ჯიმ კონორსს — 7:6, 3:6, 7:5. შეხვედრა ორ საათზე მეტს გრძელდებოდა.

მთვარის დაბნელება

19 ნოემბერს ღამით მთვარის სრული დაბნელება მოინახავ საბჭოთა კავშირის ტერიტორიის მეტ ნაწილზე. იგი დაიწყო 23 საათსა და 39 წუთზე მოსკოვის დროით და გაგრძელდა 3 საათს.

ასტრონომებმა მიიღეს ახალი მონაცემები დედამიწის თანამგზავრის შესახებ. მათი გამოთვლით, მთვარის შემდგომი სრული დაბნელება მოხდება 1978 წლის 24 მარტს. (საკავშირო კორ.).

შემთხვევა

გოგონა გადაარჩინეს

სამგზავრო მატარებელი ტყიბულიდან თბილისში მიდიოდა. მემანქანე შ. ჭარხალაშვილმა უცბათ შენიშნა, რომ რკინიგზის ხიდზე მომავალ გოგონას ფეხი დაუცდა და მდინარეში გადავარდა. მემანქანემ გაანერა შემადგენლობა და საგანგაშო სიგნალები აცემა. მგზავრებმა ე. გოგორელაძისა და ბ. თოდაძემ გაიგონეს თუ არა სიგნალი, წყალში გადაეშვნენ. მათ გადაარჩინეს მოსწავლე ნ. ბერბაძე და დროზე აღმოუჩინეს პირველი სამედიცინო დახმარება. (საქინფორმი).

ვისია ეს ბალეები?

როგორ გაუნდა საბჭოთა მეურნეობის ციტრუსოვანთა პლანტაციების შუაგულში კერძო პირთა ბალეები

ეაჯა ფინათ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი, რომელიც ეხებოდა სოფელ კონკანეთის კოლმეურნეობაში მიწათსარგებლობის წესების უხეშად დარღვევის ფაქტებს. პარტიის მახარაძის რაიკომის ბიუროს მკაცრი ზომები მიიღო ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ამის შემდეგ დიდი დრო არ გასულა, რომ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში სერიოზული სიგნალი მოვიდა — კონკეთის მოძღვარი ფაქტი ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც ლონჩხუთის რაიონის სოფელ ღრმაღელის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში ხდებაო, ბევრმა მოქალაქემ თვითნებურად მიითვისა მეურნეობის ნოყიერი მიწები და ციტრუსოვანთა ბაღები გაუშენესო.

შემოწმებამ გამოაკლინა, რომ ამ საზოგადოებრივი მეურნეობის ციტრუსების ბაღების შუაგულში ყველაზე კარგი ნაკვეთების „ფირნეკა“ და საკუთარი ბაღების გაშენება მართლაც 1965 წლიდან დაუწყიათ. მეურნეობის მუშები მელენტი მეგრელაძე, ბესარიონ ტაკარაძე, ნიკოლოზ ჯოჯუა, კარლო თავართქილაძე, სვეტრიან ქუპრაძე, სამეფო ღლონტი, ვალოდია კაპანაძე, კოკა ინჯგია და სხვა მრავალი თვითნებურად დაპატრონებია საზოგადოებრივ საკარგულებს და თვითეულს 2 ათასი კვადრატული მეტრი მიტაცებულ მიწაზე ციტრუსების ბაღები გაუშენებია. ბევრი მათგანი აგერ 10 წელია საბჭოთა მეურნეობის პლანტაციის შუაგულში ციტრუსოვანთა ბაღებს ფლობს და კარგადაც სარგებლობს.

ჩვენს საკარმიდამო მიწებზე ციტრუსები კი არა, გვიმრაც არ ხარობსო, თავს იმართლებენ ისინი. ზოგმა მათგანმა თავისით ჩამოიტანა საკარმიდამო ნაკვეთი და, სამაგიეროდ, მეურნეობის ციტრუსების პლანტაციაში თვითნებურად მიიზომა.

მეურნეობის დირექტორთან — ლემურ აფაზაგასთან და ბრიგადირ ილია კიტიასთან ერთად ადგილზე შევამოწმეთ მიტაცებულ მიწებზე გაშენებული ბაღები. ვარდენ მათეს-ძე მოისწრაფიშვილსა და სხვებს ბაღები მავთულბადითა და რკინის კარებით ციხე-სიმაგრესავით საგულდაგულოდ დაუცავთ.

საკვირველია, ამ ადამიანებმა როგორ მოახერხეს საბჭოთა მეურნეობის ამ წალკოტში, სრულიად უკანონოდ, რაღაც მაქინაციებით მიტაცებულ მიწებზე დაცვითი სიმაგრეების მსგავსი რკინის ჯებირების აღმართვა? სად ფიქრობენ მეურნეობის ხელმძღვანელები, კომუნისტები, სასოფლო საბჭოს დეპუტატები?

საბჭოთა მეურნეობის დირექციაში რაიონის პროკურორთან გ. ტუღუშთან ერთად ბევრი ვეძებეთ, რომ გვეპოვნა რაიმე ხელმოსაკიდი დოკუმენტი, თუ ვისი ნებართვით ხდებოდა მეურნეობის საუკეთესო სავარგულების „აღებ-მიცემა“, მაგრამ ასეთი საბუთი ვერ აღმოვაჩინეთ.

მიწების დანაშაულებრივად გაცემა თუ მიტაცება განვლილ 10 წელიწადში — 1965 წლიდან 1970 წლამდე მოხდა. ღრმაღელის მაშინდელ კოლმეურნეობაში 3 თავმჯდომარე შეცვალეს. 1970 წელს კოლმეურნეობის ბაზაზე ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა. 5 წელიწადში სხვადასხვა დანაშაულისათვის სამი დირექტორი მოხსნეს. მაგრამ, სამწუხაროდ, მეურნეობის მიწების განიავებისათვის არც ლენინჩხუთის რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებს, არც ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ხელმძღვანელებმა, პარტიის ლენინჩხუთის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა სერიოზულად უნდა იმსჯელონ და დანაშაულთა დასასჯელად გადამწყვეტი ზომები მიიღონ.

ეს დარღვევები იმითაც არის გამოწვეული, რომ ღრმაღელეში წლების მანძილზე არ იგრძნობოდა სახელმწიფო და პარტიული დისციპლინა, მომთხოვნელობა. სოფელში, მეურნეობის ტერიტორიაზე ბევრია ისეთი უქნარა, რომლებიც ამჟამადაც თავს აფარებენ მეურნეობას, ფლობენ საუკეთესო ბაღ-პლანტაციებს და პირადი გამორჩენისათვის ყოველგვარ სათაკილო საქმეელ ჩადიან.

მაგალითად, ზარშან მეურნეობის 800 შრომისუნარიანი მუშიდან 350 კაცს შრომის სავალდებულო მინიმუმიც კი არ გამოუმუშავებია, წელს კი — 86 მუშას. ეს მაშინ, როცა ისინი მეურნეობის მუშის ყველა სიკეთით სარგებლობენ.

ვაჟა კონსტანტინეს-ძე ყოლეტს ციტრუსების ისეთი პლანტაცია აქვს, რომ ავ თვალს არ ენახება, საკარმიდამო ბაღში წელებზე ფეხს ადგამს, მეურნეობაში მუშაობას კი გაურბის. ეს კაცი ყოველწლიურად 6 ტონაზე მეტ ციტრუსებს ყიდის, დიდ შემოსავალს ღებულობ. ჯიბე სქელი აქვს, ხოლო სინდისი კი...

ასევე ითქმის ლადიკო ჭურიძის, იაში ყოლეტის, გმირი ძმისტარიშვილისა და სხვა მრავალთა მიმართ, რომლებიც რამდენჯერმე გააფრთხილეს, მაგრამ სინდისის ქენჯნის მაინც არ გაწიცდნენ, მეურნეობაში შრომას სასხვათაშორისოდ თვლიან. ეს იმიტომ ხდება, რომ ამ მუქთახორების ასალაგმავად კონკრეტულად და პრინციპულად ჯერაკის უმსჯელია.

მეურნეობის პარტიულ ორგანიზაციაში 130 კომუნისტია გაერთიანებული, სოფელ ღრმაღელის საბჭოში 36 დეპუტატია, 6 კი — რაიონული საბჭოს დეპუტატი.

ეკითხებით მათ: რატომ ხმას არ იმაღლებენ ნაკლოვანებათა აღსაკვეთად, უღირსი ადამიანების დასასჯელად?

მეურნეობის ახალმა ხელმძღვანელობამ (დირექტორი დ. აფაზაგა, პარტიული კომიტეტის მდივანი გ. როყვა) უფრო პრინციპულად უნდა ებრძოლოს მუქთახორებს, შეუქმნას ნაკლოვანებებთან შეურიგებლობის ატმოსფერო, მიიღოს ყველა ზომა, რომ მიტაცებული მიწები დაუბრუნდეს მეურნეობას.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

„ტელევიზია“

20 ნოემბერი

პირველი პროგრამით

სატელევიზიო ფილმების VI საკავშირო ფესტივალი

დოკუმენტური ფილმები:

10.00 — „ნიკოლოზ ბუზნეცოვი. გმირობის ფურცლები“ (უკრაინა),
10.55 — „ცხოვრების მთავარი საქმე“ (ლენინგრადი),
11.25 — „ადამიანი კაცობრიობისათვის“ (სარატოვი),
12.05 — „რუსული ენის მასწავლებელი“ (ყირგიზეთი),
12.20 — „ავტო! ავტო! ავტო!“ (ლატვია),
12.50 — „ვრანგელის კუნძულზე“. ფერადი (ლენინგრადის სამეცნიერო ფილმების სტუდია),
13.15 — „იამალას ადამიანი“. ფერადი (ნოვოსიბირსკი).

ფილმი კონცერტები:

16.00 — „მზიური“. ფერადი (საქართველო),
17.15 — „ვიმღეროთ, მეგობრებო!“ (გაერთიანება „ეკრანი“),
18.16 — „ოთხი გაზაფხული“. ფერადი (რიგის კინოსტუდია),
19.20 — „ლაუტარას ვიოლინო“ (მოლდავეთი).

20.10 — ხოფლის მეურნეობის სპეციალისტის ტრიბუნა, 20.40 — ჩვენი კომენტარი, 20.50 — კინონარკვევი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — საესტრადო კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „საფეხტბალო შეხვედრების ეკრანი“, 23.30 — მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის ჭადრაკი.

მეორე პროგრამით

18.05 — მოსწავლეთათვის. ქართული ენა (რუსული სკოლების III-კლასელთათვის), 18.35 — კინონარკვევი „ნოვატორები“, 18.55—მოსწავლეთათვის — ფიზიკა, 19.40 — კონცერტი, 20.25 — განცხადებები, 20.30 — სატელევიზიო ფილმების VI საკავშირო ფესტივალი — კონკურსგარეშე ჩვენება — ქართული მხატვრული ფილმი „კოლხური ბალადა“. (კინოსტუდია „ქართული ფილმი“).

რადიო

21 ნოემბერი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ს. პროკოფიევი— ნაწყვეტები ოპერიდან „დუენია“, 11.40 — საუბარი „ტრადიცია და თანამედროვეობა“, 12.15 — მღერის ი. სოსაძე, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — კ. ნადირაძე, 12.30 — ფ. ლისტი— ეტიუდები, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — კონცერტი, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30— გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — ე. მარზოიანი— ინტროდუქცია და პერპეტუუმმობილე, 13.50 — მოსწავლეთათვის — გაზეთ „ნორნი ლენინელის“ ფურცლებზე, 17.15 — „ახალგაზრდების შემოქმედება“ — უკრავს რ. ხუნწარია, 17.40 — მოსწავლეთათვის, საკავშირო კონკურსში გამარჯვებული მოსწავლე კ. თევდორაძის მოთხრობა „ისინი საშობლოსათვის იბრძოდნენ“, 18.05 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 18.45—ო. სტროკი—პიესები სიესტრადო ორკესტრისათვის, 19.00 — „ხუთწლედ ხ—დამკვრელური შრომა“, 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.45 — ვ. კალინიკოვი — სიმფონიური პოემა „კედარი და პალმა“, 20.20 — გ. ყანჩელი — თემა ვარიაციებით, 20.30 — რადიოჟურნალი „ჯანმრთელობა“, 21.00 — „ძილისპირული“, 21.10 — მ. კაბალევსკი და ნ. გიაუროვის კონცერტი, 22.00 — „შემოქმედებითი პორტრეტები“ — ლ. სულაბერიძე, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — რ. გაბიჩვაძე — სიმფონია, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

თეატრები

20 ნოემბერი

შოთა რუსთაველის ხახელობის ხახელმწიფო აკადემიური — დაბრუნება; კოტე მარჯანიშვილის ხახელობის ხახელმწიფო აკადემიური — ეთეთი ბურჯი; ვახო აბაშიძის ხახელობის მუსიკალური კომედიის — ძველი თბილისის სურათები.

ჩვენ ვნანობთ, რომ ვოვლინდეთ

**კომუნის